პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 163 (4157)

1970 წ. 20 აგვისტო, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# ნაკრები გუშინ, დღეს და ხვალ



სურათზე: სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრის მომენტი.
ო. პახოშვილის ფოტო. ([illegible])

იქნებ ვინმე არ დამეთანხმოს, მაგრამ პირადად მე სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ახლანდელი ნაკრების თამაში მომწონს. თავი დავანებოთ იმას, რომ უნივერსიადისთვის მზადების პერიოდში მან საკმაოდ ძლიერი შემადგენლობის ტურნირი მოიგო. თავი დავანებოთ იმასაც, რომ სსრ კავშირის ნაკრებს ყველაზე ძლიერი თავდასხმა და ყველაზე საიმედო დაცვა აღმოაჩნდა. ჩემზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება ნაკრების თამაშის ხასიათმა მოახდინა — ლაღმა, საოცრად ელეგანტურმა და, ამავე დროს, თითქმის უნაკლომ.

ჩვენ უწინაც ძლიერი გუნდი გვყავდა, მაგრამ ის, ვინც ამ გუნდის სიძლიერეს ქმნიდა და ვისზეც ბევრად იყო დამოკიდებული ნაკრების წარმატება ყოველ მატჩსა თუ ტურნირში, ზოგჯერ მისი ჩავარდნის მთავარ მიზეზსაც წარმოადგენდა. მკითხველი ალბათ მიხვდა: მხედველობაში მყავს ანდრეევი—საბჭოთა კალათბურთის ყველაზე მაღალი ცენტრალური თავდამსხმელი. ანდრეევი წლების მანძილზე საბჭოთა გუნდის თავისებური ტაქტიკა იყო. ანდრეევის თამაში, მისი განწყობა, ავად თუ კარგად ყოფნა განსაზღვრავდა საბჭოთა გუნდის შეტევის ხასიათს, დაცვის ვარგისიანობას, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც წარმატებისთვისაა საჭირო. ყოველი იერიშის დასკვნით ფაზაში ბურთი სულ ცოტა ერთხელ მაინც უნდა ყოფილიყო ანდრეევის გამგებლობაში, რათა დანარჩენებს შეტევის დამთავრების საშუალება მისცემოდათ.

ანდრეევი მართლაც დიდებული კალათბურთელია, მაგრამ მისი ფენომენალური ფიზიკური მონაცემებით ზედმეტმა გატაცებამ გუნდის ტაქტიკური აზროვნება გაალარიბა, გაამარტივა. ლიუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატი ანდრეევმა სუსტად ჩაატარა, მაგრამ მოჯადოებული მწვრთნელები ვერაფრით ვერ ბედავდნენ თამაშიდან მის გაყვანას. და როცა ეს „საბედისწერო" ნაბიჯი გადადგეს, გამოირკვა, რომ ნაკრებს ზოგჯერ უანდრეევოდ უკეთ შეძლებია თამაში.

საბჭოთა კალათბურთელებმა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი უანდრეევოდ ჩაატარეს და, როგორც ხედავთ, ქვეყანა არ დაქცეულა. მეტსაც გეტყვით: გუნდმა გაცილებით უფრო მრავალფეროვნად და აზრიანად ითამაშა. ნაკრებს დაეტყო საკუთარი სტილი, თავისი ხელწერა და თუ იგი ზოგჯერ მაინც მიმართავს ანდრეევის დახმარებას ისე, რომ არ დაკარგოს თავისი ღირსებები, ამით ერთიორად გაიძლიერებს საბრძოლო პოტენციალს. პირობა ასეთია: ანდრეევი კი არ უნდა განსაზღვრავდეს ნაკრების ტაქტიკურ აზროვნებას, არამედ ხელს უწყობდეს ამ აზროვნების განვითარებას.

ბოლო ორ წელიწადში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გუნდის ნახვა ორჯერ მომიხდა: პირველად — მეხიკოს ოლიმპიურ ტურნირში, მეორედ — ლიუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატში. ამერიკელთა ნაკრების მოსკოვისეული ვარიანტი საგრძნობლად ჩამოუვარდება თავის ორივე წინამორბედს. ოლიმპიურ თამაშებზე აშშ მუდამ ძლიერ გუნდს გზავნის. იქნებ თავის ქვეყანაში იგი აბსოლუტურად საუკეთესო არც არის ხოლმე, მაგრამ სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ოლიმპიური ოქრო მოიპოვოს. მსოფლიო ჩემპიონატებს კი კალათბურთის ფუძემდებლები გულგრილად უყურებენ და მას მხოლოდ და მხოლოდ ოლიმპიადისთვის სამზადისის ეტაპად განიხილავენ.

ლიუბლიანის ჩემპიონატისადმი დამოკიდებულების მაგალითად ისიც კმარა, რომ შეერთებულმა შტატებმა ნაკრების დაკომპლექტება ამერიკული წარმოშობის იტალიელების (ვინც იტალიის გუნდებში თამაშობს) გარეშე ვერ შეძლო. როგორ? ნუთუ შტატებში ვერ მოიძებნა ორი ისეთი კალათბურთელი, რომლებიც ამერიკიდან წასული იტალიელების ადგილს დაიკავებდნენ?

და მაინც, ლიუბლიანაში ამერიკელთა გუნდი გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ის, რომელიც გუშინწინ მილიონობით ტელემაყურებელმა იხილა სსრ კავშირის კლუბების ნაკრებთან გადამწყვეტ მატჩში. ჩვენ არ შევუდგებით უკვე ნანახი მატჩის აღწერას. ის კი უნდა ვთქვათ, რომ ამერიკელთა თამაშმა ერთობ პრიმიტიული შთაბეჭდილება დატოვა. მართალია, ამის ერთი მიზეზი საბჭოთა გუნდის ბრწყინვალე მოქმედებაც იყო, მაგრამ ისიც ხომ ვნახეთ, რომ სტუმრები ელემენტარული პოზიციებიდანაც კი ვერ აღწევენ მიზანს. ამერიკელმა კალათბურთელებმა ბოლო თამაშში 61 ქულა დააგროვეს (საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 89:61 (47:29). თუ მხედველობაში არ მივიღებთ საჯარიმოებს და საშუალო მანძილებიდან ირვინგის (№ 6) რამდენიმე ზუსტ სროლას, ქულების უმრავლესობა სტუმრებმა ფარქვეშ აიღეს. ასეთი რამ არც მეხიკოში ყოფილა და არც ლიუბლიანაში.

მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი დამთავრდა საბჭოთა გუნდის ბრწყინვალე გამარჯვებით. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: აშშ, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები, ჩეხოსლოვაკია (ამ დღეს სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა სძლია ჩეხოსლოვაკიის გუნდს — 68:66 (33:37).

ამერიკელი კალათბურთელები კიდევ კარგა ხანს დაჰყოფენ სსრ კავშირში. ისინი ჯერ კიევში ჩაატარებენ ორ შეხვედრას, თვის ბოლოს კი ტალინის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ.

ნ. გუგუშვილი.

### ტურნირის საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 8 | 8 | 0 | 302—212 | 3 |
| აშშ | 8 | 2 | 1 | 218—214 | 2 |
| სსრ კავშირი (ახალგაზრდ.) | 8 | 1 | 2 | 221—247 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | 8 | 0 | 8 | 189—257 | 0 |

## ვინ წავა ბარსელონაში?

მოსკოვი, 18 აგვისტო. სულ ათიოდე დღეა, რაც ლვოვში მოცურავეთა საკავშირო ჩემპიონატი დამთავრდა და აი, ქვეყნის პირველობის პრიზიორები ისევ სტარტზე მოეწყვნენ, ამჯერად — მოსკოვში, ლუჟნიკის ცენტრალური სტადიონის აუზზე: მათი მიზანი ევროპის ჩემპიონატის (ბარსელონა) საგზურებისთვის ბრძოლაა.

ცუდი ამინდის მიუხედავად, შედეგებს ვერ დავემდურებით. 15 წლის მოსკოველმა ო. კუდაშოვამ სსრ კავშირის ახალი რეკორდიც კი დაამყარა: 400 მ თავისუფალი სტილით 4 წუთსა და 48,2 წამში გაცურა (ეს შედეგი ლვოვში დამყარებულ მისსავე რეკორდზე 0,6 წამით უკეთესია და გოგონების საკავშირო რეკორდიცაა).

200 მეტრზე გულაღმა ცურვაში იმარჯვა სსრ კავშირის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა თ. ლეკვეიშვილმა (თბილისი) — 2.30,0. ამ დისტანციაზე ბრასით ასპარეზობა მოიგო ა. გრებენიკოვამ (მოსკოვი) — 2.45,1.

ვაჟთა შორის 200 მეტრზე ბრასით ფინიშთან პირველი მიცურდა მსოფლიო რეკორდსმენი ნ. პანკინი (მოსკოვი) — 2.29,7. ამავე დისტანციაზე თავისუფალი სტილით შეჯიბრება მოიგო გ. კულიკოვმა (ნოვოსიბირსკი) — 1.59,0, ხოლო ბატერფლაით ასპარეზობა — ვ. ნემშილოვმა (სოჭი) — 2.08,8.

ხვალ შეჯიბრების ბოლო დღეა.



სურათზე: თ. ლეკვეიშვილი.
ა. გურასაშვილის ფოტო.

## ახალი ამბები

● ლენინგრადი, 18 აგვისტო. სსრ კავშირის ჩემპიონატისა და სპორტის ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით აქ გამართულ საგზატკეცილო წრიულ ავტორბოლაში „ვოლგის" კლასის მანქანები „მოსკვიჩებმა" შეცვალეს. მწვავე ბრძოლაში ყველას აჯობეს ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის სპორტსმენებმა. ჩემპიონი გახდა ამ საწარმოს ინჟინერ-გამომცდელი ლ. ესკოვი. მომდევნო ადგილებზეც მისი თანაგუნდელები რ. რჟეჩიცი და ი. ასტაფიევი გავიდნენ.

● ვოროშილოვგრადი, 18 აგვისტო. აქ მიმდინარეობს სოციალისტური ქვეყნების ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და სსრ კავშირის გუნდები. დღევანდელი შეხვედრები ერთნაირი შედეგით (3:0) დამთავრდა: ასე დაამარცხეს სსრ კავშირის ფრენბურთელებმა უნგრელები — 15:5, 15:11, 15:13, პოლონელებმა — რუმინელები — 15:6, 15:10, 15:11, ბულგარელებმა — გდრ-ის წარმომადგენლები — 15:12, 15:12, 15:13. დარჩენილი ორი მატჩიდან საბჭოთა ფრენბურთელებმა ერთიც რომ მოიგონ, მიუღწეველი გახდებიან დანარჩენთათვის.

### რეკორდები

ფალუნა, 17 აგვისტო. შვეციის ამ ქალაქში მსოფლიო რეკორდი უკვე მერამდენედ გააუმჯობესა საშუალო წონის ძალოსანმა ჰ. ბეტენბორგმა: მან 176 კგ აჰიმა.

ვისბადენი (გფრ), 18 აგვისტო. დამთავრდა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. სსრ კავშირის სპორტსმენები ამ შეჯიბრებაში ბრწყინვალედ გამოვიდნენ: 10 ვარჯიშიდან ექვსში გაიმარჯვეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი სპორტსმენის მაჩვენებლები: პნევმატური პისტოლეტით 10 მეტრიდან 60 გასროლით ი. დენისჩუკმა 568 ქულა მოაგროვა, რაც მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგია. მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (8×20) სროლაში თავი გამოიჩინა რიგელმა ბ. ზალმა. ეს ქალიშვილი ჭაბუკებში გამოდიოდა და ყველა დაამარცხა — 575 ქულა მოაგროვა, რაც 2 ქულით აღემატება ქალთა მსოფლიო რეკორდს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა მსროლელებმა იმარჯვეს.

## ცეცხლი შეწყდა

ოდესა, 18 აგვისტო. აქ ათ დღეს გრძელდებოდა 36-ე საკავშირო პირად-გუნდური საუწყებო ჩემპიონატი. შეჯიბრების ბოლო დღეს თავი გამოიჩინა შეიარაღებულ ძალთა გუნდის წევრმა ვ. გოშაძემ. ქალებს სპორტული მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 25 მეტრიდან შავ სამიზნეებში 60-60 ტყვია უნდა გაეგზავნათ. თავიდან გოშაძის თანაგუნდელები სლიპჩენკო და ერემენკო დაწინაურდნენ, მაგრამ გოშაძემ ბოლო 20 გასროლაში მდგომარეობა გამოასწორა, საბოლოოდ 554 ქულა მოაგროვა (600-დან) და ოქროს მედალი დაისაკუთრა. ვერცხლი ერგო სლიპჩენკოს — 552, ბრინჯაო — ერემენკოს — 550.

მარათონული იყო ვაჟთა ტურნირი საბრძოლო შაშხანით სტანდარტზე (3×40). ამ ვარჯიშის ორჯერ შესრულება ძალიან მომქანცველია და, მაინც, სპორტსმენებმა მაღალ შედეგებს მიაღწიეს. გამარჯვებულმა მელნიკმა (შეიარაღებული ძალები) ჯერ 1118 ქულა მოაგროვა, მერე — 1133 და 2400 შესაძლებლიდან 2251 ქულით პირველობა დაისაკუთრა. მან 8 ქულით აჯობა II ადგილზე გასულ დინამოელ ერმილოვს — 2243 (1118+1125). მეორე ვარჯიშში ყველაზე კარგად შეასრულა გერასიმიონოკმა („დინამო") — 1139 ქულა დააგროვა, მაგრამ პირველ ვარჯიშში დაბალმა მაჩვენებელმა (1102) მას ბრინჯაოზე უკეთესი ლითონის დასაკუთრების საშუალება არ მისცა.

ბოლო მედლები „გაქცეულ ირემზე" 100 მეტრიდან 25 ორმაგ გასროლაში გათამაშდა. პოსტოიანოვმა (დოსააფი) 235 ქულა მოაგროვა, საკავშირო რეკორდი გაიმეორა და 6 ქულით სძლია თანაგუნდელ ნიკიტინს. პროხოროვსაც (შეიარაღებული ძალები) 229 ქულა აღმოაჩნდა, მაგრამ იგი III ადგილს დასჯერდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: „დინამო" I — 887 ქულა, შეიარაღებული ძალები I — 877, შეიარაღებული ძალები II — 636.

ჟამი ფიქრისა და განსჯისა

# უნივერსიადა დამთავრდა, უნივერსიადა გრძელდება...

წლევანდელი საკავშირო უნივერსიადა საბჭოთა სტუდენტი სპორტსმენებისთვის იყო გამოცდა უმაღლეს დონეზე. იგი ბოლო შემოწმება გახლდათ მათთვისაც, ვინც მსოფლიო უნივერსიადაში უნდა დაიცვას საბჭოთა ქვეყნის ღირსება. მოძმე რესპუბლიკების სპორტული დელეგაციებისთვის ეს გამოცდა მით უფრო საპასუხისმგებლო იყო, რომ 1971 წელს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში რესპუბლიკათა ნაკრებ გუნდებში სტუდენტებიც იასპარეზებენ.

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა, რომ საქართველოს სპორტსმენები ხალხთა სპარტაკიადების კომპლექსურ ჩათვლაში მუდამ საპრიზო — V ადგილზე გადიან. ეს V ადგილი ფაქტიურად მესამეა, რადგან რსფსრ-ს წარმომადგენლები სპარტაკიადებში, როგორც წესი, 3 კოლექტივით (რსფსრ, მოსკოვი და ლენინგრადი) გამოდიან.

საქართველოს სტუდენტებმა უნივერსიადის კომპლექსურ ჩათვლაში ახლაც ასეთი წარმატება მოიპოვეს. ხალხთა სპარტაკიადების მსგავსად, I-VI ადგილები უნივერსიადის კომპლექსურ ჩათვლაშიც საპრიზო ადგილების ტრადიციულმა „გრანდებმა" ასეთი თანმიმდევრობით დაიკავეს: 1. რსფსრ — 3597,5 ქულა, 2. მოსკოვი — 2858, 3. უკრაინა — 2670,5, 4. ლენინგრადი — 1711, 5. საქართველო — 1586, 6. ბელორუსია — 1445,5 ქულა.

უნივერსიადის პროგრამაში 25 სახეობა შედიოდა. ინტერესმოკლებული არ იქნება გადავხედოთ ამ პრიზიორთა მიერ უნივერსიადაში სპორტის ცალკეულ სახეობებში მოპოვებული შედეგების ცხრილს (რომაული ციფრებით მინიშნებულია მოპოვებული ადგილები, არაბულით — დაგროვილი ქულები):

| | რსფსრ | მოსკოვი | უკრაინა | ლენინგრადი | საქართველო | ბელორუსია |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხამბო | II—72 | III—67,5 | VI—29,5 | V—34 | I—103 | IV—34,5 |
| ფარიკაობა | II—95 | V—81 | IV—84 | IX—10 | I—106 | III—88 |
| თავისუფალი ჭიდაობა | I—88 | VII—27 | IV—43 | VI—29 | II—78 | III—71 |
| ჩოგბურთი | III—21 | IV—15 | V—12 | VI—9 | II—27 | მონაწილეობა არ მიუღია |
| კალათბურთი (ქალები) | IV—15 | VIII—3 | V—12 | III—21 | II—27 | IX—0 |
| კალათბურთი (ვაჟები) | X—0 | IV—15 | V—12 | IX—0 | II—27 | I—36 |
| წყალბურთი | IV—15 | I—36 | VI—9 | VII—6 | II—27 | III—21 |
| მაგიდის ჩოგბურთი | II—29 | IV—43,5 | I—104 | IX—3 | III—47,5 | V—42 |
| მშვილდოსნობა | —0 | II—30 | I—50 | მონაწილეობა არ მიუღია | III—6 | მონაწილეობა არ მიუღია |
| სროლა | I—452 | II—396 | IV—274 | მონაწილეობა არ მიუღია | III—330 | VI—103 |
| კლასიკური ჭიდაობა | III—57 | V—48 | II—65 | VII—30 | IV—49,5 | I—66 |
| მხატვრული ტანვარჯიში | I—275 | VIII—16 | II—160 | III—165 | IV—37 | VII—16 |
| ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე) | I—145 | V—68 | II—112 | VI—47 | IV—86 | III—96 |
| აკრობატიკა | I—360 | V—26 | II—215 | VIII—42 | IV—103 | III—191 |
| წყალში ხტომა | III—10 | VI—4 | IV—9 | II—15 | V—5 | მონაწილეობა არ მიუღია |
| აკად. ნიჩბოსნობა | III—139 | IV—113 | I—181 | II—151 | V—81 | VII—22 |
| ფრენბურთი (ვაჟები) | VI—9 | I—36 | III—21 | VII—6 | V—12 | IV—15 |
| ფრენბურთი (ქალები) | III—21 | IV—15 | II—27 | I—36 | V—12 | VI—9 |
| ხელბურთი (ქალები) | IV—15 | —0 | I—36 | II—27 | V—12 | III—21 |
| კრივი | I—77 | II—75 | III—57 | IV—44 | V—40 | X—19 |
| ველოტრეკი | I—202,5 | III—104 | VII—23 | II—152 | V—56 | VIII—13 |
| მძლეოსნობა | II—466 | III—450 | IV—414 | I—478 | VI—171 | V—299 |
| ხელბურთი (ვაჟები) | I—36 | II—27 | III—21 | VIII—3 | VI—9 | V—12 |
| სპორტული ტანვარჯიში | III—356 | II—390 | I—433 | IV—162 | VII—84 | V—116 |
| ჭადრაკი | III—21 | I—36 | II—27 | IV—15 | VII—6 | VI—9 |
| ველო (გზატკეცილი) | I—275 | V—84 | III—90 | IV—88 | VIII—33 | VI—84 |
| ძალოსნობა | II—65 | III—57 | I—83 | VI—30 | X—8 | VII—24 |
| ცურვა | II—246 | I—525 | V—42 | III—163 | —0 | IV—42 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს სტუდენტებმა გუნდურ ასპარეზობაში მოიპოვეს: 2 I ადგილი, 5— II, 3 — III, 4 — IV, 7 — V, 2 — VI, 2 — VII, 1 — VIII, 1 — X.

ამ უნივერსიადაში ქულათა დარიცხვის წესი წინა წლებისგან განსხვავებული იყო. მაგალითად, პირად ასპარეზობაში და წყვილთა შეჯიბრებაში (ნიჩბოსნობა და სხვა სახეობები) I ადგილისთვის გუნდებს ერიცხებოდათ 12 ქულა, II — 9, III — 7, IV 5, V — 4, VI — 3, VII — 2, VIII — 1; პროგრამის ჯგუფურ სახეობებში (ესტაფეტები, ათჭიდი, ხუთჭიდი, ნიჩბოსნობა ოთხადგილიანებით და რვაადგილიანებით, წყვილთა ვარჯიში აკრობატიკაში, გუნდური შეჯიბრება სროლაში, ფარიკაობა და სხვ.) I ადგილისთვის გუნდებს ერიცხებოდათ 24 ქულა, II — 18, III— 14, IV — 10, V — 8, VI — 6, VII — 4, VIII — 2; თამაშებში (კალათბურთი, ფრენბურთი და ხელბურთი — ქალებისა და ვაჟებისთვის ცალ-ცალკე, წყალბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, აკრობატიკაში ოთხეულების ჯგუფური ვარჯიში) — I ადგილისთვის გუნდებს ერიცხებოდათ 36 ქულა, II — 27, III — 21, IV — 15, V — 12, VI — 9, VII — 6, VIII — 3.

როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებაში, VIII ადგილზე უარესი შედეგისთვის ქულები არ ირიცხებოდა. გარდა ამისა, სპორტსმენებს, რომლებიც მაღალ შედეგებს მოიპოვებდნენ ერიცხებოდათ წამახალისებელი ქულები მსოფლიო რეკორდისთვის — 30 ქულა, ევროპის რეკორდისთვის — 20, სსრ კავშირის რეკორდისთვის — 15, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგისთვის — 25 ქულა. როგორც ხედავთ, უნივერსიადაში ქულათა დარიცხვის სისტემა ერთობ რთული იყო, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა პირველობისთვის ბრძოლა.

ცურვაში საკავშირო უნივერსიადის ფინალური შეჯიბრება არ გამართულა. მოცურავეებმა მხოლოდ რესპუბლიკურ უნივერსიადებში იასპარეზეს და საბოლოო შედეგებიც იქ მოპოვებული მაჩვენებლების მიხედვით გაირკვა. საქართველოს სპორტსმენებს რესპუბლიკურ უნივერსიადაში იმდენად დაბალი შედეგები ჰქონდათ, რომ კომპლექსურ ჩათვლაში ერთი ქულაც ვერ შესძინეს საქართველოს ნაკრებს.

უნივერსიადის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ საქართველოს „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ბ. ცქიტიშვილს. აი, ეს საუბარიც:

— როგორ აფასებთ უნივერსიადაში საქართველოს დელეგაციის გამოსვლას?

— დამაკმაყოფილებლად.

— რა იყო თქვენთვის მოულოდნელი ამ უნივერსიადაში?

— სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს სტუდენტთა უხეირო გამოსვლა, ხოლო ტყვის სროლაში, პირიქით, საუკეთესო შედეგები.

— ვინ დაგტოვათ უკმაყოფილო?

— ტანმოვარჯიშეებმა, მოჭადრაკეებმა, მოცურავეებმა და ძალოსნებმა.

— რა არის საჭირო, რომ სტუდენტურ სპორტში კიდევ უკეთესი მაჩვენებლები მოვიპოვოთ?

— ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს არ გააჩნიათ საცურაო აუზები, თანამედროვე მოთხოვნათა დონის მძლეოსნური ბილიკები და სექტორები. ვერც დარბაზები აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნებს. ერთი სიტყვით, საჭიროა გაძლიერდეს „ბურევესტნიკის" მატერიალური ბაზა.

— ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს რამდენი მედალი მოიპოვეს საქართველოს სპორტსმენებმა ამ ასპარეზობაში?

— მათ წილად ხვდათ ოქროს 26, ვერცხლის 83 და ბრინჯაოს 50 მედალი.

— მსოფლიო უნივერსიადაში საასპარეზოდ სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრებიც მიემგზავრება. ვინ შეარჩიეს ამ ნაკრების კანდიდატებად საქართველოდან?

— მძლეოსანი მ. ოყროშიძე, ჩოგბურთელები თ. კაკულია, ვ. პერეგუდოვი, ტ. ფარსადანოვა, მოფარიკავეები დ. შარაშენიძე, გ. ლორთქიფანიძე, ფრენბურთელი ვაჟები ვ. ასლანიდი, ნ. თათარაშვილი, კალათბურთელი ქალები მ. სურგულაძე, ფ. არუთინოვა და ტანმოვარჯიშე მ. ჯინჭარაძე.

— დაახლოებით რამდენ პროცენტს უნდა შეადგენდეს საქართველოს სტუდენტური სპორტის წვლილი სსრ კავშირის მომავალ ხალხთა სპარტაკიადაში?

— დაახლოებით 60 პროცენტს...

— როგორია თქვენი მომავალი გეგმები?

— გვინდა კარგად მოვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის და, რაც მთავარია, დიდი რაოდენობით მივცეთ სპორტსმენები საქართველოს ნაკრებ გუნდებს.

• • •

ჩვენ შევეხეთ რესპუბლიკის სტუდენტური სპორტის ზოგიერთ მხარეს, მის ავსა თუ კარგს. საკავშირო უნივერსიადაში რესპუბლიკის სტუდენტური სპორტის მოწინავე მწვრთნელებმა ბევრი საგულისხმო რამ შენიშნეს. ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა მათ თავიანთი აზრი ფართოდ გამოეთქვათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ეს მსჯელობა სწორედ ახლა, სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში, განსაკუთრებით დიდ სარგებლობას მოგვიტანს.

ჯ. ენუქიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
დონის როსტოვი — თბილისი.

# პიონერული ზაფხულის ფინიშზე

რესპუბლიკის პიონერთა ბანაკების წლევანდელი საქმიანობა დასასრულს უახლოვდება. ბევრ ბანაკში ნაყოფიერად იღვწიან ბავშვთა ფიზიკური გაკაჟებისთვის: ეწყობა მასობრივი შეჯიბრებები, საინტერესო ლაშქრობები, ამხანაგური მატჩები... სწორედ ამაზე მოგვითხრობენ ქვემომოყვანილი წერილები.

## მეზობლებს ეჯიბრებიან

კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი ბანაკი ბორჯომის რაიონის ახალდაბაში მოეწყო. ბანაკის გახსნისთანავე აქ მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობა გაჩაღდა: სისტემატურად ეწყობა დილის გამამხნევებელი ვარჯიში, დღის რეჟიმში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, იმართება რაზმების ტურნირები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შიდასაბანაკო სპარტაკიადებმა.

ბანაკის შესასვლელში ყურადღებას იპყრობს ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობის კალენდარული გეგმა, ტურნირების ამსახველი ცხრილები. ამ სტენდებთან მუდამ ბევრი ბიჭი და გოგო იყრის თავს.

ბანაკში სპორტის 6 სახეობაა დანერგილი. და აი, ყოველი ნაკადის ნაკრები გუნდები ამ სახეობებში ახალდაბის ტერიტორიაზე განლაგებულ სხვა პიონერთა ბანაკებს ეჯიბრებიან.

ა. გელაშვილი,
ბორჯომის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

## ათასზე მეტი ნორჩი

ქუთაისის ამრეშუმის კომბინატის პიონერთა ბანაკი მიუსერაში ჯერჯერობით ათასზე მეტ ნორჩ დამსვენებელს მოემსახურა. აქ მათს განკარგულებაშია ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორები. საკმარისად აქვთ ინვენტარიც. ფიზაღზრდის მასწავლებლის გ. ჩერქეზიშვილის მეცადინეობით გამართულ საბანაკო სპარტაკიადას წინ უძღოდა რაზმების პირველობანი. ბანაკის ისტორიაში პირველად გაიმართა შეჯიბრება ცურვაში.

ყოველ სახეობაში ასპარეზობის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულებს დიპლომებითა და საჩუქრებით აჯილდოებენ. ერთი სიტყვით, ბანაკში დიდი ყურადღება ექცევა ნორჩების ფიზიკურ წრთობას, რისთვისაც კარგად იყენებენ ზღვის წყალობას.

ეწყობა ლაშქრობებიც.

მიუსერის ბანაკში გატარებული დღეები ნორჩებს არასოდეს დაავიწყდებათ.

დ. ბურბენიძე.
მიუსერა.

## ოც ეტაპად

მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ბანაკის „ცისკრის" გახსნისთანავე აქ შეიქმნა მძლეოსნობის, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკისა და შაშის სექციები, რომლებსაც ფიზაღზრდის მასწავლებლების ხელმძღვანელობით ნორჩი სპორტსმენები ჩაუდგნენ სათავეში.

ბანაკის ცხოვრებაში განსაკუთრებით საინტერესო იყო ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები. გაიმართა „ცისკრისა" და „გантიადის" ბანაკების პიონერთა მატჩი მძლეოსნურ ესტაფეტაში 20×100 მეტრზე. სტარტი „განთიადის" ბანაკში აიღეს. მანგლისის მრავალრიცხოვანი მოაგარაკე საინტერესო ბრძოლის მოწმე გახდა. მცირე უპირატესობით გამარჯვება ცისკრელებს დარჩათ. მათ სიგელები და სამახსოვრო ვიმპელები გადაეცათ.

შემდეგ გაიმართა ტურნირები ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში.

ნ. ბარდანაშვილი,
„ცისკრის" უფროსი პიონერხელმძღვანელი.
მანგლისი.

# I ადგილზეა აჭარის ნაკრები

საქართველოს სოფლის სპორტსმენთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი შეჯიბრების (ჭადრაკი, შაში, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ძალოსნობა, მძლეოსნობა, ფრენბურთი) შესახებ ჩვენი გაზეთი ადრე იტყობინებოდა. გაიმართა კიდევ ერთი შეჯიბრება: ამჯერად იასპარეზეს ხელბურთელმა ვაჟებმა.

ბათუმის ზღვისპირა პარკის მოედანზე 16 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. ხელბურთელები თავდაპირველად ოთხ ქვეჯგუფში დანაწილდნენ, ხოლო შემდეგ I ადგილებზე გასულებმა გაითამაშეს I-IV ადგილები, II ადგილებზე გასულებმა — V-VIII და ა. შ.

ქვეჯგუფებში კარგად იასპარეზეს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, აჭარის, მახარაძისა და ლაგოდეხის ხელბურთელებმა. სწორედ ამ გუნდებმა შექმნეს ფინალური ოთხეული, სადაც 3 გამარჯვება მოიპოვა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივმა. სტუდენტებმა დაამარცხეს აჭარის ნაკრები (34:25), ლაგოდეხელები (29:14) და მახარაძელები (12:11). ვინაიდან სტუდენტები შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ, სოფლის სპორტსმენთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა აჭარის ნაკრებმა, რომელმაც ფინალურ ტურნირში 2 გამარჯვება მოიპოვა: ლაგოდეხელებთან (18:15) და მახარაძელებთან (21:18). მახარაძის გუნდი 1 მოგებით (ლაგოდეხის ნაკრებთან — 22:20) II ადგილზე გავიდა. III ადგილი ერგოთ ლაგოდეხელებს, რომლებმაც ფინალურ ასპარეზობაში სამივე შეხვედრა წააგეს.

გ. ირინაული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი 1970

სსრ კავშირის პირველობა

I ჯგუფი

# მოულოდნელი შედეგები

16 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

ტურს რამდენიმე მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: გათამაშების ლიდერი — ლვოვის „კარპატი“ დამარცხდა (1:2) დუშანბეში, იქაურ „პამირთან“, რომელიც აუტსაიდერთა რიგებშია; დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“, რომელიც ამ დღისთვის III ადგილზე იყო, წააგო აშხაბადში „სტროიტელთან“ (0:1), ეს გუნდი კი ბოლო, 22-ე ადგილზეა.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ალგა“ (ფრუნზე) — „მოლდოვა“ (კიშინიოვი) 0:1, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „კუბანი“ (კრასნოდარი) 0:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 2:0, სკა (ხაბაროვსკი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:1, „ყაირათი“ (ალმა-ათა) — სკა (კიევი) 2:0, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „დაუგავა“ (რიგა) 0:1, „რუბინი“ (ყაზანი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 0:1, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 0:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყაირათი“ (ალმა-ათა) | 25 | 15 | 6 | 4 | 43—16 | 36 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 26 | 14 | 7 | 5 | 37—16 | 35 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 25 | 12 | 8 | 5 | 28—17 | 32 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 25 | 13 | 5 | 7 | 28—14 | 31 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 25 | 9 | 13 | 3 | 31—18 | 31 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 25 | 13 | 5 | 7 | 28—16 | 31 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 25 | 11 | 7 | 7 | 25—23 | 29 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 25 | 8 | 10 | 7 | 26—19 | 26 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 25 | 9 | 8 | 8 | 24—17 | 26 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 25 | 10 | 6 | 9 | 33—32 | 26 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 25 | 8 | 9 | 8 | 27—27 | 25 |
| სკა (ხაბაროვსკი) | 26 | 7 | 11 | 8 | 16—18 | 25 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 25 | 8 | 9 | 8 | 22—29 | 25 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 25 | 9 | 7 | 9 | 19—30 | 25 |
| სკა (კიევი) | 25 | 9 | 5 | 11 | 29—28 | 23 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 25 | 5 | 12 | 8 | 14—21 | 22 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 25 | 7 | 7 | 11 | 25—33 | 21 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 25 | 8 | 3 | 14 | 21—29 | 19 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 25 | 5 | 8 | 12 | 17—29 | 18 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 25 | 5 | 7 | 13 | 16—29 | 17 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 25 | 4 | 9 | 12 | 16—31 | 17 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 25 | 4 | 4 | 17 | 14—47 | 12 |



# „სპარტაკი“ ემზადება

სსრ კავშირის ჩემპიონს — მოსკოვის „სპარტაკს“ წინ აქვს საპასუხისმგებლო შეჯიბრებები. 16 სექტემბერს მოსკოვში და 30 სექტემბერს შვეიცარიაში იგი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში შეხვდება შვეიცარიის ჩემპიონს „ბაზელს“. ამას გარდა, სპარტაკელები 20-24 აგვისტოს მონაწილეობას მიიღებენ ესპანეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

• • •

სურათებზე: „სპარტაკის“ მეკარე ა. კავაზაშვილი ვარჯიშის დროს; შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ხნაიპერი, გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი ნ. ოსიანინი.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საკდესი).



# საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „მალაროელი“ (ჭიათურა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

● „ენგური“ (ზუგდიდი) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „ისანი“ (თბილისი) 1:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

თამაში დაიწყო ორმხრივი მწვავე იერიშებით. მე-18 წუთზე თბილისელთა კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა სორიევმა — 1:0. მატჩის მიწურულს ისნელმა დვალმა გაათანაბრა ანგარიში.

● „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 2:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

პირველი 45 წუთის უფერულ ბრძოლას შედეგი არ მოუცია — 0:0. თამაში გამოცოცხლდა 70-ე წუთზე, როცა სტუმრების კარში უხეშობისთვის დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა, მაგრამ ვაჩეიშვილმა ძელს მოახვედრა ბურთი. რამდენიმე წუთის შემდეგ მასპინძლებმა (დოლიძე) მაინც შეძლეს ანგარიშის გახსნა, ხოლო შემდეგ ვაჩეიშვილმა გამოასწორა თავისი შეცდომა — 2:0.

● „მზიური“ (გალი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი ფ. შარია (გალი).

### II ჯგუფი

I ზონა

„დურუჯი“ (ყვარელი) — „სპარტაკი“ (რუსთავი) 1:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „მშენებელი“ (წალკა) 1:2, „არაგვი“ (მცხეთა) — „მირაქი“ (წითელი წყარო) 1:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:3. ახალქალაქის „აბულს“ მოგება ჩაეთვალა საგარეჯოს „გარეჯთან“, ხოლო ასპინძის „ვარძიას“ — ვაზისუბნის „მევენახესთან“.

II ზონა

„ჭოროხი“ (ბათუმი) — „მექანიკოსი“ (სამტრედია) 2:2, „განთიადი“ (აბაშა) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 0:0, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:3, „დინამო“ (ქუთაისი) — „ივერია“ (ხაშური) 0:0.

### ზონალური პირველობა

I ზონა

„კლდეკარი“ (მანგლისი) — „ოლიმპი“ (ავრანლო, წალკა) 1:0. დმანისის რაიკავშირის გუნდს მოგება ჩაეთვალა ბოგდანოვკის „ფარვანასთან“ შეხვედრაში.

II ზონა

„ჭამბურიანი“ (ლაგოდეხი) — „განთიადი“ (კასპი) 2:0, „ტიბაანი“ (სიღნაღი) — „წინანდალი“ (თელავი) 1:2, „ქისტაური“ (ახმეტა) — „ვაზი“ (შრომა, გურჯაანი) 2:0.

III ზონა

ჩაის საბჭოთა მეურნეობა (წალენჯიხა) — „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) 3:1, „განთიადი“ (ქარელი) — „ქვედა ბახვი“ (მახარაძე) 3:2. ვანის „სპარტაკს“ მოგება ჩაეთვალა ჩხოროწყუს „ლესიჭინესთან“.

• • •

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ფეხბურთის ხამმართველო რესპუბლიკური გათამაშების ყველა ჯგუფის მონაწილეებს ატყობინებენ, რომ 22 და 23 აგვისტოს დანიშნული კალენდარული მატჩები არ შედგება.

## გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 20 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 30 | 19 | 7 | 4 | 61—35 | 45 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 29 | 16 | 7 | 6 | 49—27 | 39 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 29 | 15 | 9 | 5 | 46—24 | 39 |
| ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბ.) | 28 | 14 | 10 | 4 | 48—23 | 38 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 29 | 15 | 7 | 7 | 59—31 | 37 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 29 | 12 | 12 | 5 | 46—26 | 36 |
| „ისანი“ (თბილისი) | 29 | 11 | 14 | 4 | 30—21 | 36 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 28 | 13 | 8 | 7 | 45—28 | 34 |
| „მზიური“ (გალი) | 29 | 8 | 15 | 6 | 31—27 | 31 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 30 | 12 | 7 | 11 | 36—45 | 31 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 29 | 10 | 10 | 9 | 41—37 | 30 |
| „სამცხე“ (აწყური) | 27 | 8 | 13 | 6 | 24—24 | 29 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 30 | 8 | 12 | 10 | 31—34 | 28 |
| სკა (თბილისი) | 27 | 9 | 5 | 13 | 27—37 | 23 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 27 | 6 | 11 | 10 | 27—40 | 23 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 28 | 6 | 10 | 12 | 31—32 | 22 |
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 29 | 6 | 10 | 13 | 18—33 | 22 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 29 | 5 | 12 | 12 | 31—53 | 22 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 28 | 5 | 11 | 12 | 21—35 | 21 |
| „მალაროელი“ (ჭიათურა) | 28 | 4 | 9 | 15 | 34—58 | 17 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 28 | 3 | 7 | 18 | 27—64 | 13 |
| „მშენებელი“ (ბორჯომი) | 28 | 3 | 6 | 19 | 21—50 | 12 |

# ფინიშამდე ორი ნაბიჯით ადრე

აჭარის V საზაფხულო სპარტაკიადის დასკვნითი ეტაპის დაწყებამდე (იგი სექტემბერ-ოქტომბერში გაიმართება) მოეწყო შეჯიბრებები, რომლებმაც ფინალური სტადიის მონაწილე სპორტსმენები გამოავლინეს.

ერთ-ერთი ასეთი ასპარეზობა იყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოფლის სპორტსმენთა საოლქო თამაშები. ჯერ იყო და, სოფლის სპორტსმენებმა მოსინჯეს ძალა შიდასაკოლექტივო ტურნირებში, შემდეგ რაიონულ შეჯიბრებებში, ბოლოს კი რაიონების ნაკრები გუნდები საოლქო თამაშებში ჩაებნენ.

საოლქო თამაშების პროგრამა 12 სახეობას მოიცავს. სტარტებზე გამოვიდა აჭარის ყველა რაიონის 14541 ფიზკულტურელი. უწინდელი თამაშებისგან წლევანდელი იმითაც განსხვავდება, რომ სპორტსმენები სხვადასხვა რაიონის ბაზებზე ასპარეზობდნენ.

მართალია, თამაშების პროგრამა ჯერ არ ამოწურულა (დარჩა ორი სახეობა — ქართული ჭიდაობა და ველოსპორტი), მაგრამ ჩემპიონი უკვე ცნობილია: ესაა ქობულეთის რაიონის ნაკრები. ქობულეთელებმა გაიმარჯვეს ფრენბურთში (ქალები, ვაჟები), კალათბურთში (ქალები, ვაჟები), ხელბურთში (ქალები), მძლეოსნობაში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ხელბურთში (ვაჟები), ძალოსნობაში, შაშსა და ჭადრაკში პირველობის მოპოვებით ბათუმის რაიონის ფიზკულტურელებმა გაინაღდეს II ადგილი.

III ადგილისთვის იბრძვიან ქედისა და შუახევის რაიონების ნაკრები გუნდები. ყველოსპორტში ორივე კოლექტივი ერთნაირ საჯარიმო ქულას მიიღებს, ვინაიდან ამ რაიონებში სპორტის ეს სახეობა არ არის კულტივირებული და, ბუნებრივია, გუნდებსაც ვერ გამოიყვანენ. ასე რომ, III ადგილის ბედს ქართული ჭიდაობა გადაწყვეტს.

საერთოდ, სოფლის სპორტულმა თამაშებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში ფიზკულტურა და სპორტი სათანადო დონეზე არა დგას. ზოგ სოფელში მარტივი ტიპის მოედანიც კი არა აქვთ, ბევრ დაწყებით და რვაწლიან სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა მარტოოდენ ფიზკულტურის გაკვეთილებით განისაზღვრება.

რაღა შორს წავიდეთ? ქობულეთში დღემდე ჭიანურდება სტადიონის მშენებლობა.

შედარებით უკეთესი პირობები აქვთ ბათუმის რაიონის ფიზკულტურელებს. მათს განკარგულებაშია ხელვაჩაურში სამი საფეხბურთო მინდორი, საჭიდაო და ძალოსნობის დარბაზები. აქვე გაიხსნა მოზარდთა სპორტული სკოლა, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რეზერვის მომზადებაში.

ლ. ჟამუარაძე.

ბათუმი.

### კალმის სურათები

## სტადიონი კვალითის ცენტრში

სოფელ კვალითის სპორტის მოყვარულებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: აქაური ახალგაზრდების თაოსნობით სოფლის ცენტრში მოეწყო ფეხბურთის სტადიონი.

ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე გამართა ბრიგადების ფეხბურთელთა გუნდების ტურნირი. I ადგილი და თასი დაისაკუთრა № 5 ბრიგადის ნაკრებმა.

ლ. ბიწაძე.

ზესტაფონის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკვდავება

ათი წლის წინათ ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი გურამ რჩეულიშვილი. მან ბევრის გაკეთება მოასწრო, მაგრამ მომავალში კიდევ მეტს გვპირდებოდა. გ. რჩეულიშვილის მოთხრობები შეიყვარა ქართველმა ახალგაზრდობამ. მისი ნაწარმოებების გმირები სულიერად და ფიზიკურად ძლიერი ადამიანები არიან.

გურამ რჩეულიშვილს თავდავიწყებით უყვარდა სპორტი — მას ხშირად ნახავდით მთამსვლელურ ექსპედიციებში, იპოდრომზე, საცურაო აუზში, კრივისა თუ ფარიკაობის დარბაზში... მას კარგად ჰქონდა შეგნებული სპორტის დიდი სიკეთე და ამიტომაც სიცოცხლის ბოლო დღემდე მისი ერთგული დარჩა.

უდროოდ დაღუპული მწერლის ხსოვნას ეძღვნება ეს წერილიც.

ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, აგვისტოს წვიმა ხალისიანად აწვიმს ჩემი სახლის მყუდრო ეზოს. ელექტრონის შუქზე უცნაურად ბრწყინავს სველი ბალახი. ოთახში შემოდის საღამო და რაღაც საოცარი სიმშვიდისა და სიმსუბუქის განცდა შემოაქვს. ნაწვიმარ მიწას სპეციფიკური სუნი ასდის...

აგვისტო ჩემთვის განსაკუთრებული თვეა. მიყვარს აგვისტოს წვიმიანი დღეები, რადგანაც ისინი თავისებურ მოგონებებს მიღვიძებენ. აგვისტოს წვიმიან დღეებში წიგნის თაროზე დავეძებ გურამის მოთხრობებს და გამოღებულ ხარკმელში ათი წლის წინათ უდროოდ დაღუპული ჭაბუკის სახეს ვხედავ. მე ვხედავ სიცოცხლით სავსე ვაჟკაცს, რომელიც მსუბუქად მიჰყვება პეტრიაშვილის ქუჩის დაღმართს. აი, იგი შედის უნივერსიტეტის საფარიკაო დარბაზში, იცვამს მოფარიკავის თოვლივით ქათქათა ტანსაცმელს და გარდასულ საუკუნეთა რაინდის დარად ელოდება მეტოქეს. მას აქვს ძლიერი მუხლი, მგლის მუხლს რომ ეძახიან, გამოცდილი მეზღვაურის თვალი და ავაზის სიმკვირცხლე. საფარიკაო ნიღაბი უფარავს მთის მზეში ბრინჯაოსფრად გარუჯულ სახეს.

იგი ადის ალავერდის გუმბათზე, კავკასიონის მწვერვალებზე, გაშმაგებით მიაჭენებს ალვანურ ცხენს და ზღვის ტალღებს ღონიერი მკლავებით ეჭიდება.

მზედაკრული, ქარდაკრული სახე საოცრად მოგაგონებთ უძველეს ტაძრებზე გამოყვანილ ბარელიეფებს.

იგი შვილივით შეზრდია მშობლიური ქვეყნის ბუნებას, მის მთებს, მდინარეებს, ხეობებს, მდელოებს... იგი ბუნების შვილია და ამიტომაცაა უეშმაკო, ალალმართალი და გამტანი. თავისი ძლიერი, ამაყი და ლამაზი სული მან, საბედნიეროდ, შთაბერა მოთხრობებს, რომელთა უმრავლესობა სიმღერაა სულითა და სხეულით ძლიერი კაცისა.

აბა, როგორ შეიძლება არ შეიგრძნო, არ განიცადო გურამ რჩეულიშვილის ეს სტრიქონები... „ტყისპირს გაგონილ, დაუწერელ, ერთად მოვარდნილ სიმფონიასავით იღვრება თვალწინ ძველი ციხეები, ეკლესიები, ბურჯები და ამ ეპოქაში ნაშენი, სწორი, უგეგმიანესი ალვნებით. ამ გეგმიანობიდან სინათლესავით მოდის შეუჩერებლივ რაღაც ახალი, სიცოცხლისუნარიანი. მისი ეგზოტიკისათვის უცნობი ძალა იპყრობს გუმბათის თავზე მდგომის სხეულს: ახალი, შეუცნობლად კანონზომიერი, შეერთებული გრანდიოზულ, უსიტყვო შრომასთან. ის ფიქრობს: საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა, და პასუხობს: ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ ხალხშია, მაგრამ აქ ზოგიერთნი დაბნეულან და ვეღარ გრძნობენ შემოქმედის ნამდვილ სიამოვნებას, შრომისა, რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში...“ („ალავერდობა“).

ამ სტრიქონებიდან გვესაუბრება ათი წლის წინათ დაღუპული მწერალი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მაჭარივით დუღდა და საქართველოს თვალწარმტაც მთასა და ბარში ძვირფას სიმბოლოებს ეძებდა და პოულობდა.

ყოველმა ჭაბუკმა კავკასიონის მწვერვალებიდან უნდა გადმოხედოს სამშობლოს, ერთხელ მაინც მიუახლოვდეს მის ლაჟვარდოვან ზეცას, დალაშქროს სვანეთისა და ხევსურეთის საცალფეხო ბილიკები, მოისმინოს აქაფებული მდინარეების ომახიანი სიმღერა, გურამივით გლეხკაცის სახლში ბუხრის წინ გაიგონოს და ჩაწვდეს ხალხურ სიბრძნეს:

„ღვინო კი მათრობელი სჯობს,
ძაღლი თეოზე მყეფარი,
ვაჟკაცი დინჯი სჯობია,
რო გაჭირდება მჭეხარი.
ჩალად არა ღირს ვაჟკაცი
დიაცთმიმყოლი მკვეხარი“.

განა გურამ რჩეულიშვილზე არ არის ზედგამოჭრილი სულხნათი ვაჟას სიტყვები: „სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი უკვდავია ადამიანის გულში საერთოდ, მით უმეტეს ნიჭიერი ადამიანისა და ნიჭის სათავე და დასაწყისიც სწორედ იქ არის. პირველად პატარა ყლორტი ამოვა და თუ არაფერმა შეუშალა ხელი, თვითონ ზრდას იწყებს და დიდ ხედ გაიზრდება..

ვინ არის ნიჭიერი მწერალი?

ვისი სიცილიც ნამდვილი, ბუნებრივი, მართალი სიცილია და ვისი ტირილიც, ცრემლი, ნამდვილი ცრემლია და არა რაღაც წყალწყალა სითხე, — ვისაც, როცა უკანასკნელი წამი დაჰკრავს და სამარეში ჩაუშვებენ მწერლის გვამი, ჩანგი თან ლოცვა-კურთხევას ჩააყოლებს და არა სამდურავს:

ყალბი იყავ და ყალბად მაუღერებდიო!“

ის მართლაც ახალგაზრდა, ფესვებღონიერ ხესა ჰგავდა, ამოსულს ნოყიერ ქართულ მიწაზე. იგი იმ ახალგაზრდა ხეს ჰგავდა, მეხი რომ დაეცემა და წელში გადატყდება. მდინარეს ჰგავდა, ზღვისკენ რომ მიისწრაფვის და საწადელს ვერ აისრულებს. მაგრამ ის ტყუილუბრალოდ როდი ადიოდა მთებში და ხშირად ნაბადმოსხმული ღამეს ქარაფებში ათევდა. მისი ძალღონე, სიცოცხლისა და სამშობლოს სიყვარული მისივე ნაწერებშია გაბნეული და სწორედ ამაშია ჭაბუკი მწერლის უკვდავება.

ა. გოგელია.

# იგებდა და... წააგო

**დნეპროპეტროვსკი, 19 აგვისტო.** აქ დაიწყო ჭადრაკში სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხე წრის შეხვედრები. აი, მისი შედეგებიც: ბ. კატალიმოვი (ალმა-ათა) — დ. ბრონშტეინი (მოსკოვი) 0:1, ვ. ფაიბისოვიჩი (ლენინგრადი) — ა. შმიტი (რიგა) 0:1, ვ. სავონი (ხარკოვი) — მ. ტალი (თბილისი) 0,5:0,5, ი. ლუტიკოვი (ტირასპოლი)—ლ. ალბურტი (ოდესა) 0,5:0,5.

ბრონშტეინმა კატალიმოვის მეფის პაიკის ორი უჯრით წინსვლის საპასუხოდ 17 წუთი იფიქრა. ეს „ნებივრობა“ მოსკოველისთვის კინაღამ კატასტროფით დამთავრდა. შემდგომ რთულ ბრძოლაში კიდევ დაიხარჯა დრო და კონტროლამდე დარჩენილ 22 სვლაზე ბრონშტეინს დარჩა მხოლოდ ... 3 წუთი. ბუნებრივია, ყველა ელოდა ოსტატის გამარჯვებას, მით უმეტეს, რომ კატალიმოვს მატერიალური უპირატესობაც ჰქონდა. მას სურდა მალე მოეგო და თამაშის ტემპს უმატა. ბრონშტეინი ელვისებურად აკეთებდა საპასუხო სვლებს. დრამატული ბრძოლა 42-ე სვლაზე დამთავრდა: საათზე ალამი ჩამოუვარდა ... კატალიმოვს — მისი მეფე გარდუვალი შამათის ქსელში გაება.

ნაკლებად როდი აღელვა მაყურებელი სავონ—ტალის შეხვედრამ. ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ ქვეყნის ბოლო ჩემპიონატში ხარკოველმა ოსტატმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიოს ექს-ჩემპიონს. იმედები ამჯერადაც გამართლდა: ბრძოლა საინტერესო იყო.

ტალმა შავებით ინდური დაცვა გაითამაშა, მაგრამ პოზიცია ვერ გაათანაბრა. დიდხანს იგი მხოლოდ ერთადერთი ზუსტი სვლებით უვნებელყოფდა შეტევაზე გადმოსული მეტოქის მუქარას. მოხერხებულ მომენტში ტალმა ხარისხი შესწირა და მდგომარეობაც განმუხტა. 31-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.



მოტოკროსი მეტად ვაჟკაცური და, ამავე დროს, მიმზიდველი სახეობაა — მაყურებელი ხედავს სწრაფ ქროლვას, მკვეთრ მოსახვევებში გასწრებას, ბუნებრივ ტრამპლინებზე „ხტომას“...

სპორტსმენთა გამბედაობა ხშირად იქამდე მიდის, რომ მეტოქენი სწორედ უაღრესად სარისკო ადგილებში ცდილობენ ურთიერთის ჩამოტოვებას და... ეცემიან. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მრბოლელები ყოჩაღად იქცევიან, მხარდამხარ, თითქოს ერთმანეთს შედუღებულანო, ათობით მეტრს მიჰქრიან.

ეს სურათიც სწორედ ერთ ამგვარ მომენტზე მოგვითხრობს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# რეპლიკას დაეჯერება?

ახლა ბევრს ლაპარაკობენ საზონათაშორისო ტურნირში (დეკემბერი, პალმა დე მალიორკა) ამერიკელი დიდოსტატის რ. ფიშერის მონაწილეობის თაობაზე. როგორც ცნობილია, ამ ტურნირში თამაშის უფლება ფიშერს არ მოუპოვებია (მას არ უთამაშია ზონალურ ტურნირში — აშშ-ს ჩემპიონატში), მაგრამ დადის ხმები, მალიორკაში მაინც ითამაშებსო. ამბობენ, ფიშერს დიდოსტატი პ. ბენკო დაუთმობს თავის ადგილს, აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციას კი ამ „როქის“ საწინააღმდეგო არაფერი ექნება. მით უმეტეს, რომ ბენკო ნებაყოფლობით იტყვის უარს თამაშზე (ავი ენები ამბობენ, რომ, სამაგიეროდ, ბენკო 1500 დოლარს მიიღებს).

როგორც ჩანს, ყველაფერი ასე როდია. ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ჭადრაკის ფედერაციის ოფიციალურმა ორგანომ — ჟურნალმა „ჩესს ლაიფ ენდ რევიუმ“ გამოაქვეყნა შემდეგი რეპლიკა: „... ასეთი შეცვლის უფლებას ფიდე-ს წესები სამართლიანად არ იძლევა. მაშინ ხომ ქაოსი იქნებოდა. თუ კი საზონათაშორისო ტურნირში გასული რომელიმე ამერიკელი მოჭადრაკე არ ისურვებს თამაშს, მის ადგილს დაიკავებს აშშ-ს ბოლო ჩემპიონატის მეოთხე პრიზიორი, დიდოსტატი უ. ლომბარდი, რომელიც ამ შედეგით ესპანეთში გამგზავრების პირველი კანდიდატია“.



## 20-45



## გასწორება

კორექტორების დაუდევრობით „ლელოს“ წინა ნომრის პირველ გვერდში გამოქვეყნებულ მასალაში — „20-45“ გაიპარა შეცდომა. ბოლოდან მეოთხე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: **„19 მეტრსა და 46 სანტიმეტრზე ჰკრა“** და შემდეგ, როგორც ტექსტშია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# ახალი ამბები

● **პოდოლსკი, 18 აგვისტო.** აქაურ ფიცარნაგზე ახალგაზრდა ძალოსანთა შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა სიმფეროპოლელმა ქვემძიმე წონის ათლეტმა, 19 წლის ა. ვოდოვოზოვმა, რომელმაც იუნიორთა საკავშირო რეკორდი დაამყარა აჭიმვაში — 156 კგ. სამჭიდში მან 450 კგ დააგროვა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

● **სირაკუზი, 18 აგვისტო.** სიცილიის ამ ქალაქში დამთავრდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც, იტალიელთა (ტურინის „ფიატი“, ნეაპოლის „კანოტიერი“, ჩივიტავეკიას ნაკრები) გარდა, მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებიც მონაწილეობდნენ. გაიმარჯვეს მოსკოველებმა, რომლებმაც ერთნაირი ანგარიშით (6:5) დაამარცხეს ტურინისა და ნეაპოლის გუნდები, ხოლო ჩივიტავეკიელ სპორტსმენებს სძლიეს ანგარიშით 4:3. ვინაიდან საბჭოთა სპორტსმენებმა პრიზი მეორედ დაისაკუთრეს, იგი მათ სამუდამოდ დარჩათ.

● **სოფია, 18 აგვისტო.** ლიტვის კალათბურთელ ქალთა ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება ბულგარეთის კალათბურთის ფედერაციის თასზე. ფინალურ მატჩში მან დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები — 65:59 (30:29). II ადგილზე გავიდნენ ჩეხოსლოვაკიელები, III — ფრანგები.

◆ **სოფია, 19 აგვისტო.** აქ ევროპას ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი შესარჩევი მატჩი გამართეს „სპარტაკ-ლევსკისა“ და ვენის „აუსტრიის“ ფეხბურთელებმა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1. ბულგარელთაგან გოლები გაიტანეს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებმა კოსტოვმა და ასპარუხოვმა (2). მსაჯობდა ცნობილი იტალიელი არბიტრი ა. სბარდელა. საპასუხო შეხვედრა შედგება 2 სექტემბერს ვენაში.

◆ **პოლიანიცე ზდრუი** (პოლონეთი), **19 აგვისტო.** მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში კვლავ ლიდერობს საბჭოთა ოსტატი ი. ზაიცევი — მას 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს 9-დან. შეჯიბრებაში სსრ კავშირის კიდევ ორი მოჭადრაკე მონაწილეობს — დიდოსტატ ლ. შამკოვიჩს 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, დიდოსტატ ვ. ანტოშინს — 5 ქულა.

◆ **ვარშავა, 19 აგვისტო.** ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. შევინსკამ მშობიარობით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ აქ გამართულ შეჯიბრებაში 100 მ მოკრძალებული შედეგით (12,2) გაირბინა. გაიმარჯვა ტ. სუკნევიჩმა — 11,8. ვარშაველმა სტუდენტმა, 24 წლის ზ. იალოჟინსკიმ შუბი 85 მეტრზე ტყორცნა, რაც წლეულს ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია ევროპაში: უკეთესი მაჩვენებლები მხოლოდ მის თანამემამულეებს სიდლოსა და ნიკიჩუკს ჰქონდათ. იალოჟინსკის სიმაღლეა 184 სმ, წონა — 94 კგ.

საქართველოს ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტი, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი
**პეტრე (გოგი) შალვას ძე კარიჭაშვილი**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. /8\ უე 04379